


4
1963



ზოგიერთი დაწესებულებისა და კომპიუტერნი-
ობის ადმინისტრაციულ-სამეურნეო აპარატში
თავმოყრილია ნათესავეები.


Handwritten signature

— რამ დაგაფიქრათ, ბარდლოვეჯი?
— შტატი უნდა შევამცირო და არ ვიცი, რომელი ნათესავი გავიმეტო!

№ 9 თბილისი მაისი 1963


საბუკო

გამოცემის 88-40 წელი, ფასი 20 კპპ.



ჩვეულებები

- ასეთ ბუნდოვან ნაწარმოებს ვინ დაგიბეჭდავთ?
- თქვენ რომ ვერ გაიგეთ, ამიტომ არის ბუნდოვანი?



მე ვხედავ მზესუზიარას

სამტრედიის რკინიგზის მილიციის განყოფილებაში ბლომადაა დაყრილი სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის ტომრები და ყუთები. ყველა მათგანს აქვს თავისი თავგადასავალი, თავისი ისტორია. ახლა კი ერთ გროვად ყრიან: ერთი, ორი... ოცი... ოცდაორი... ოცდაჩვიდმეტი. საინტერესოა, რა უნდა იყოს მიზეზი ან ვის ეკუთვნოდა? ამის ვაგება არცთუ ისე ძნელია, ტომრებს სათუთად ადევს ზევიდან პატარა წიგნი სათაურით: "მე ვხედავ მზესუზიარას", რომელიც მოგვითხრობს ამ ტომრების თავგადასავალს.

ვშლით წიგნს და ვკითხულობთ: ოცდასამი წლის უცოლშვილო სიღნაღელი ახალგაზრდა ანზორ სანდროს ძე ჯანგულაშვილი შეიპყრო ფულის შოვნის დაუცხრომელმა ქინძა. მუშაობა არ უყვარდა ანზორს და აკი არც მუშაობდა.

მაგრამ გაუნძრევლად ფული არ გაჩნდება, არარასივან თვითონ ღმერთიც კი ვერარას შეჰქმნის. — თქვა ჯანგულაშვილმა და გაინძრა კიდეც აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ვერაფერი დაინახა ისეთი, საიდანაც უშრომლად ფული გამოიღებოდა. ბოლოს, სიღნაღის საკოლმეურნეო ბაზარში შეიხედა და აღტაცებულმა წამოისლოკინა: — მე ვხედავ მზესუზიარას! — ანზორი დაფატურდა.

- რა ღირს ფუთი?
- რვა მანეთი.
- შვიდ მანეთად მომეცი და მთლიანად წავიღებ, სახლშიც გექნება.
მორიდუნენ.

ჯანგულაშვილმა ოცდაჩვიდმეტი ტომარაში ჩაყარა ორი ათასი კილოგრამი მზესუზიარა და სამტრედიისაკენ გასწია. ტომრებიც და ჯანგულაშვილიც მილიციის ალმონდნენ.

ჯოჯისა ბაზმა ჩხრიალებს, ჯოჯის კაპალიც არაო

აგერ, მეორე ტომრების გროვა, ყურადღებას იპყრობს მისგან მომდინარე ჩხრიალი. ვიღებთ მის სათავგადასავლო წიგნს და ვკითხულობთ: „სამტრედიის ცხოვრობდა ახალგაზრდა ინჟინერი ჯიმშერ სამსონის ძე ჯულაყიძე. ჯიმშერი მუშაობდა საქენერგოს სამტრედიის კანტორაში ინჟინრად, ბინადრობდა იგი კიროვის ქ. № 70-ში.

აიშენა ორსართულიანი სახლი ჯულაყიძემ და დაჭირდა ფული. — ინჟინერი კაცი უარ, უმაღლესი დამამთავრებია, უმაღლესი მათემატიკა მისწავლია, მიმატებით რომ ჯამი იცვლება, ანუ იდიდება, ეს ხომ ფაქტია, პოდა, მეც რა მენადლეება, — თქვა ჯიმშერმა და გასწია წინორის წყლისაკენ. ჩავიდა თუ არა წინორის წყალში, თავი გასაყიდი საქონელივით საკოლმეურნეო ბაზარში ამოჰყო.

— ისეთი კაკალი მინდა, არ ჩხრიალებდეს. — განაცხადა თავისი სურვილი ჯიმშერმა.

— აბა, ასეთი კაკალი როგორ ვიშოვოთ, თუ გინდა ჩხრიალა კაკალი, წაიღე და ღმერთმა ხელი მოვიმართოს, იფად მოგცემთ. იგაჭრეს, იდავიდარაბეს და, როგორც იქნა, მორიდუნენ.

ჯულაყიძემ იყიდა ასსამოცდაათი კილოგრამი კაკალი, კილოგრამი მანეთ და ერთ აბაზად და გამობრუნდა სამტრედიისაკენ... წიგნის კითხვას აღარ ვაგრძელებთ, რადგან ჩვენთვის უკვე გასაგებია, თუ რატომ მოხვდა იგი მილიციაში.

ახლა ერთმანეთზე დაწყობილმა ყუთებმა დაგვანტერესა. წიგნი, რომელიც ყუთს ადევს თავზე, კარგადაა გაფორმებული. ვკითხულობთ წიგნს: 1927 წლის დასასრულს, აბაშის რაიონის სოფელ საბოკუჩაოში, იდუმალ ივრიალა. ეს იყო ცნობა იმის შესახებ, რომ დაიბადა გერვასი ათანასეს ძე ბოკუჩაძე. იზრდებოდა ჩვეულებრივად გერვასი, სწავლობდა და ცვლქობდა. გულადი იყო გერვასი ბოკუჩაძე და არ ეშინოდა დენის. ამიტომაც მოკიდა ხელი მონტიორობას. თანაც იფიქრა, სარფიანი ხელობააო. ზედმეტი ვის გადაუყრია. გერვასიამაც დაიწყო ზედმეტი შემოსავლის ძიება.

— ცხაკაიას მონტიორად ვმუშაობ, კონტაქტის დამყარება ჩემი პირდაპირი მოვალეობაა. — თქვა ბოკუჩაძემ და დაამყარა კიდევაც კონტაქტი ქობულეთის საკოლმეურნეო ბაზართან.

ვაჭრობაში საკმაო ნიჭი გამოიჩინა გერვასიმ. ქობულეთელ კოლმეურნეებისაგან შეიძინა ასორმოცი კილოგრამი მანდარინი, კილოგრამი მანეთად და ცხაკაიაში გაემგზავრა მოსაგებად, მაგრამ...

რა იცოდა მონტიორმა გერვასიმ ბოკუჩაძემ, რომ ამ ყუთებში მაღალი ძაბვის დენი გადიოდა, თორემ ახლოს როგორ გაეკარებოდა.

მე არის და გორის ციხე

ისევ ტომარა და ისევ სათავგადასავლო წიგნი. წიგნის მოკლე შინაარსი ასეთია: ყოფილა ვინმე ახალგაზრდა კაცი შოთა ივანეს ძე საზანდრიშვილი, რომელიც დაბადებულა ქარელში, ცხოვრობს გორში. წინორის წყალში შეუძენია ოთხმოცი კილოგრამი ლობიოს, ჩამოუტანია სამტრედიისაკენ და... ამოუყვია თავი მილიციაში. საზანდრიშვილის მუშობებიც გურამ ფარსადანის ძე გიგუაშვილი უფრო ახალგაზრდა ყოფილა და, ამიტომაც, უფრო შორს წასულა.

წიგნში ნათქვამია, რომ გურამი, მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, ერთხელ უკვე ყოფილა პასუხისმგებელი ნამყოფი და საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონია ვადამყიდველობის საქმეში. მას, ე. ი. გურამ გიგუაშვილს ქობულეთის ბაზარზე შეუსყიდია ორმოცდაცამეტი კგ მანდარინი და ასსამოცდახუთი ცალი ლობიონი, ჩაუწყვია ყუთებში და დაუბრუნებია ქ. ეისკში წასვლა, მაგრამ თითქოსდა კიდან ჩამოფრინდნენ, გაჩენილან სამტრედიის რკინიგზის მილიციის თანამშრომლები და გურამ გიგუაშვილი წაუყვანიათ სადაც ჯერ არს. მე არის და გორის ციხე. ასე სრულდება ეს სათავგადასავლო წიგნი.

მე დაპარებავ ძველსა გზას...

აი, კიდევ ერთიმეორეზე დაწყობილი ყუთები, რომელსაც საგარანტიო პასპორტივით ადევს ზევიდან წიგნი:

ლუბა ილიას ასული გურული ოცდათვრამეტი წლის მანდილოსანი იყო, ცხოვრობდა ქობულეთში. მინცდამინც არ უყვარდა შრომა ლუბას და ცხოვრებაში სხვა გზას ეძებდა საარსებოდ. ამ ძიებას ლუბა ორჯერ დასვა საბრალმდებლო სკამზე. მაგრამ ლუბა არ შეშინდა.

— ნუ დაკარავ ძველსა გზასო... უთქვამთ ჩვენს ძველებს, — მოიშველია ქართული ანდაზა ლუბა გურულმა და არც დაკარგა.

ლუბა ილიას ასულმა კარგად იცოდა ციტრუსების ფასი. ამიტომაც დაეძგერა მას და ქობულეთში შეიძინა ოთხმოცდაათი კილოგრამამდე მანდარინი. აიღო ბილეთი თბილისის მიმართულებით და გაუდგა გზას, მაგრამ შორს ვერ წავიდა. კითხვას აღარ ვაგრძელებთ და ახლა ყუთების მეორე გროვას ვუახლოვდებით. წიგნს მსხვილი ასოებით აწერია: ს ა მ ა ი ა.

„სამტრედიის რაიონში არის სოფელი კულაში დამშვენებული და აშენებული სრა-სასახლებით. ცხოვრობდა კულაში ვინმე იაკობ აბრამის ძე შამლიკაშვილი, განაიღებდა თუმცა ხუთი კლასისა ჰქონდა, მაგრამ მოხერხებითა და ჭკუით მეცნიერებათა კანდიდატიც ვერ მოვიღოდა მასთან.

უყვარდა საბეკულაში იაკობს. სულ ორმოცდაექვსი წლისა იგი და თავისი ცხოვრების წელთა უმრავლესობა საბეკულაში მიუძღვნა. კიდევაც დასაჯეს ერთხელ ამისათვის იაკობი.

— მარტო კაცი ჰამაშიაც ბრალიაო, — იფიქრა იაკობმა და დაუკავშირდა თანასოფელებს.

— ისეთი ხალხი მინდა, უცოლშვილონი იყვნენ და თანაც ახალგაზრდები, მეტი რისკი ექნებათ საქმეში, — თქვა იაკობმა, მონახა კიდეც შესაფერისი. ერთი იყო მიხეილ მორდების ძე მოშიაშვილი, მეორეც მიხეილ მოშიაშვილი მხოლოდ არა მორდების ძე, არამედ შაბათას ძე.

ხელი ხელს მისცეს და აჭარბაქენ აიღეს გეზი. ჯერ ქობულეთს ეწვიენ, შემდეგ — შათუმს. იაკობს თავისი მეთორი ჰქონდა ვაჭრობისა და ორ მიხეილსაც გაანდო და ასწავლა:

— იცოდეთ, იყიდეთ ერთდროულად მხოლოდ ნახევარი კილო მანდარინი, რადგან ყოველ ნახევარ კილოში ოცი გრამი ყოველთვის მეტი მოდის ხოლმე.

მოიწონეს იაკობის აზრი მიხეილებმა და ასეც მოიქცნენ. სამასი კილოგრამი მანდარინი იყიდეს კულაშელმა საქმოსნებმა და პირი სამტრედიისაკენ იბრუნეს.

კიდევ ერთი წინდახედულება გამოიჩინა იაკობმა. მატარებლით საჯავახოდ იმგზავრეს, იქიდან სამტრედიამდე კი მანქანით. მაგრამ ამაოდ.

არც სამტრედიის რკინიგზის მილიციის თანამშრომლები იყვნენ გულბერყილონი, მიუხედავად იაკობს მანევრებს და მანდარინებითურთ წააბრძანეს ეს ფულის საშოვნელად გახაზირებული საბეკული. ასე დაიშალა სამაია.

ვტოვებთ მილიციის განყოფილებას და მოვდივართ წიგნებისაგან მიღებული შთაბეჭდილებებით აღსაყვ.

როგორც მილიციის თანამშრომლებმა გვითხრეს, მომავალში განზრახულია ამდაგვარი წიგნების გამოცემა, რომ უშირები საამისოდ მოიპოვებინან და რომ მილიციის თანამშრომლები არ დაზოგავენ ენერჯისა და ნიჭს, რათა ყველა მათგანს სათანადო ადგილი დაუთმონ თავიანთ შემოქმედებაში. ჩვენც მეტი რა დაგვიჩენია, გარდა იმისა, რომ ვუსურვოთ მათ წარმატება შემოქმედებით საქმიანობაში.



თეთრი წყაროს რაიონის სოფ. კოდაში მიმდინარე წლის პირველ იანვრამდე ავეჯის საამქრო რომ არსებობდა, გადაწყვიტა და ლიკვიდირებულიყო, მაგრამ, რაკი ყოველგვარი მოქმედება განსაზღვრულ პროცესს შეიცავს და ყოველი პროცესი განსაზღვრულ დრო-ჟამს მოითხოვს, თეთრი წყაროს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მესვეურებმა ეს პროცესი ამდღრეულ წყლად მიიჩნიეს და ბადეში ღლავის მოხვედრა მოინდომეს.

ავეჯის სალიკვიდაციო საამქროს ყოფილი მუშები ბადალ ბადალიანი და აღაბეგ ესაიანი გეგმების შეუღრულებლობისათვის ერთის მოსმით მოხსნა კომბინატის დირექტორმა და ლაქიშვილმა და მათს ადგილზე რაზმიკ და მუჟაკ ნორაიანები დანიშნა დროებით მუშებად. ეს ისტორიული დოკუმენტი შედგა გასული წლის 30 დეკემბერს (ბრძანებით № 231).

როგორც კომბინატის ხელმძღვანელობა გულისხმობდა ავეჯის საამქროს უნდა დაემზადებინა სასადილო მაგიდები, კარადები, ბუფეტები, სერვანტები, გარდერობები და მცირეგაბარითიანი ავეჯეულობა.

საამქროს ხელმძღვანელად რაზმიკ ნორაიანი, ანუ ჟორა გაბროვინდა და შეუღდა რაზმიკი საამქროს დარაზმვას. მან საამქრო ახლა კოლმეურნე აზატოვის კერძო სახლში გადაიტანა და საქმე ისე გაჩარხა, რომ ორი მუშაც: მ. ნაროიანი და კ. მკრტიჩიანი აიყვანა. მერე იმაზედაც იფიქრა, რომ ჩვენ რალა ოსტატები ვიქნებით, თუ შეგირდიც არ გვეყოლებოდა და ერთი შეგირდიც მოაყოლა მათ. ამგვარად მუშების რიცხვი დეკომპლექტდა, შეუღდგენ მუშაობას, დღისით-მზისით, ყოველგვარი გაფორმების, დოკუმენტაციის, შრომის აღრიცხვის, ხარჯთა-აღრიცხვის, ანგარიშის და ანგარიშთანობის გარეშე. საავეჯო საამქროსათვის არც კი გაუქრავთ აბრა, ესაო და რა საჭიროა, ჩვენ ჩვენი საქმე გამოგვაჩენს და აბა აბრა რალად გვინდა, ისედაც იოლად წავალთ, ოღონდ ჩვენი უფროსები კარგად გვეყოლონო.

ჟორა საქმის ნამდვილი ენთუზიასტი იყო თვითონ და მუშებიც და შეგირდიც ნამდვილი ფანტიკოსები მოიყვანა, უანგარო აღამიანები, მთელი სამი თვე რომ ისე იმუშავეს, რომ არც ხელფასი მოუთხოვიათ, არც ავანსი, მოვიდოდნენ სისხამ დილით, საკუთარი ინსტრუმენტებით და გაუდიოდნენ კაკაჟუკი, შებინდებამდე ფუტკრის გულმოდგინებით მუშაობდნენ და მუშაობდნენ. და, წარმოიდგინეთ, იმდენად „უანგაროდ“ აკეთებდნენ ამას, რომ ინსტრუმენტების ამორტიზაციის ფულიც არ მოუთხოვიათ.

ჟორა თავის დუქანში აწყობდა გეგმას, როგორ გაესაღებინა დამზადებული 17 დივანი, 3 გარდერობი და 1 შიფონერი და სწორედ ამ დროს საქ. სსრ მილიციის სამმართველოს სპეკულაციისა და სახელმწიფო ქონების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების თანამშრომელი შ. მხეიძე აწყობდა გეგმას, როგორ აეგო წესი ჟორას დუქნისათვის. და აი 22 მარტს ეწვივნენ რაზმიკსა და მის ძმა-ოსტატებს ამხანაგები ჩაჩანიძე და ტოპუზისი და იყო ჟორას დუქანი და უკვე აღარ არის იგი... გაქრა ვითარცა ღამის სიზმარი და შარმანდელი თოვლი.

და აი კოდაში მომხდარი „რბევის“ შედეგად გულდაკოდილი თეთრი წყაროს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მესვეურები მხრებს იჩეჩავენ და ხელებს ასავსავენ, ჩვენი ბრალი არ არის, რომ ჟორას სახელოსნო გაუფორმებლად მუშაობდა, მასალებს ჩვენ ვაძლევდით, კანონიერების ფარგლებში, მაგრამ სხვა არაფერი მიგვიცია, არც ხელფასი, არც ავანსი, არც ამორტიზაციის სანაზღაურო, მაინცდამაინც რაში გვდებთ ბრალს, რაში გვადანაშაულებთ, იმუშავა ხალხმა, აკეთა, დაამზადა, ხომ არა მსხდარან უსაქმურად, ოფლსა ღვრიდნენ, საზოგადო საქმეს ფანტიკურად ემსახურებოდნენ და ჩვენ როგორ არ უნდა შეგვეწყო ხელი, მასალები მაინც არ უნდა მიგვეცა? ისეთი უღვთოები რალა მაინცდამაინც ჩვენა გენახეთ, რომ უგულობა გამოგვეჩინა და ჟორას წამოწყება არ წავგვექეზებინაო.

კეთილი და პატიოსანი! შრომისათვის ნიანგიც არა კიცხავს ჟორასა და მის ძმა-ბიჭებს, მაგრამ მაინც ეკითხება თეთრი წყაროს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ხელმძღვანელობას, რომელი კანონის ძალით გახსნეს კერძო საამქრო, რა მიზანს ისახავდა იგი და ვისი ჯიბე უნდა გაესქელებინა მას? კითხვა ნათელია და ურიგო დიხაც რომ არ იქნება მას ასევე გარკვეული პასუხი მოჰყვეს... ისე მხრების აჩეჩვა და ხელების გასავსავება პასუხად არ გამოდგება.

ქარაშობი



ნან. ჯ. ლოლუასი

მონაღიკათა კავშირები

- რამდენი კურდღელი იქნება საქართველოში?
— მაგას ვერ მოგახსენებთ, ბატონო, ისე კი მონაღიკათა კავშირში 60.000 წევრია!



ძმაო ნიანგო! ვიცით, დიდად განათლებული ბრძანდები და ჩვენი თავიც ძალიან გიყვარს. ამიტომაც ვებდავთ და აქვე, აგერ ორ ნაბიჯზე, ჩვენს ადგილსამყოფელში, ვაჟა-ფშაველას მასობრივ ბიბლიოთეკაში გეპატიუებით. მხოლოდ წინასწარ გაფრთხილებთ, ყურებზე ასაკრავი სქელი რამ ქსოვილი წამოილო.

რატომ? მიზნებს ახლავე მოგახსენებთ. მართალია, ბიბლიოთეკას დიდი ფართობი არ უჭირავს, მაგრამ ჩვენ სივიწროვებს იმდენად არ ვუჩივით, რამდენადაც ბიბლიოთეკაში გამეფებულ ხმაურს. მთელი უბნის უსაქმური ახალგაზრდები ბიბლიოთეკაში იკრიბებიან და დილიდან საღამომდე გნიასობენ და ოსუნჯობენ, ხან მღერაან, ხან ჯერ

გამოუქვეყნებულ ქურურ სიტყვებს გვასმენინებენ. ბიბლიოთეკის თანამშრომლები რას აკეთებენ?.. რა უნდა აკეთონ, ისინიც ხმაურობენ, საერთო ფერხულში არიან ჩაბმულნი, ხომ ვაგიგონია, „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“. ბიბლიოთეკის გამეგ გრიშა ჭელიძე იმდენად ძმაკაცური კაცია და იმდენად უყვარს ჩვენუნელი უსაქმურები, რომ, თუ ვინმემ გაბედა და თქვა: — რა აზბავია, რა ხმაურიათ, მაშინვე ხმას ჩააწყვეტინებს, თუ კარგი მკითხველი ხარ, ხმაურშიც კარგად წაიკითხავო. ასეა, ძმაო ნიანგო! შენ რას იტყვი, ახლა გვესტუმრები თუ ცოტა მოგვიანებით, დავაცადოთ ბიბლიოთეკის მესვეურთ, ვეგების გონს მოვუთონ.

ბ. ჟიგნიერაშვილი



მიჩქვინის კაბინეტთან

— რა ამბავია, ახალ პროექტს არჩევენ?
— ბოტვინიკ-პეტროსიანის პარტია გადიდო!

მიზიზი

იხემა უთხრა მურისა:
— გამიგონე, ძამია,
ფისოს რატომ არ სჯიან
დღესაც, მიკვირს ძალიან!
მაღაზია გაცალა
წუწკმა, ყველიპარია! —
მურამ უთხრა: — ის კატა
ვეფხვის ნათესავია!

ა. გოგიაშვილი

ლაპარგული ტიკი

გამარჯობა, ჩემო შვილო,
სოფლის თფლით გამოზრდილო.
შავი ძროხის თეთრი ყველი,
თეთრი ფქვილის ცხელი მჭადი,
ისე გიყვარს, თავით გიდგას
თითქმის მთელი წელიწადი.
თხნი გძულს და მჭადი გიყვარს,
გასხვლა გძულს და ხრუპავ ღვინოს,
სოფლითა სჭამ,
სოფლითა სვამ,
და ქალაქში დადილინობ.
სუფრა სოფელს აუგსია,
შენ რომ მოგწონს ზვავრიელი,
თუკი სავსე ტიკი გიყვარს,
რად არ გიყვარს ცარიელი?
სოფელს თავი აარიდო,
ამისათვის მუდამ ცდილობ,
თუკი კეცის მჭადი გიყვარს,
მისი მიწაც უნდა ზილო.
გამზრდელი რომ შეიძულო,
ამისათვის გამოგზარდე?
მადლობას თუ არ მიგზავნი
ტიკი მაინც გამოგზავნე.

ბ. ჯირათელი

ლხინი კარგა ხნის დაწყებული იყო, ჩვენ რომ მივივლით. თამადა რჩეოთ სანდოვრე ქა
ძელოებზე იყო გადასული და ჩემს მეზობლად ვიღაც სტომატოლოგს აქებდა.
— კბილი ადამიანს დაღუპვისთვის სჭირდება, კბილი თუ არ გექნა, ვერ დაღუპავ,
ვერც გადასულია, უკბილოდ ერთი დღეც ნუ მაცოცხლოს, კბილი ჩვენს შინაარსიან
ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობს და, თუ თქვენი პატიოსანი შრომით კეთილსინ-
დისიერად მოემსახურებით ჩემისთანა კბილებდამტვრეულ ადამიანს...

თამადამ დიდხანს აქო კბილი და კბილის ექიმი, ბუნებრივი და ხელოვნური კბი-
ლები და, ბოლოს, ჩაის ტიქას, თითებთ კი არა, კბილებით მოეჭიდა და პირში ისე
ამოაბრუნა, რომ ათი თითიდან ერთიც არ მოუშველებია. შემდეგ დაჯდა, ოფლი მო-
იწმინდა, გოჭოს წვივი ბატიბუტივით მისრის- მოსრისა და უქვიანი თვალებით გად-
მოიხვდა.
— საიდანაც მეცნობით!
— შეიძლება, — ჩავიბურტყუნე ჩემთვის.
თამადამ ახლა ვეტყვიმი შეაქო და მერე უცებ საკამიდან წამოვარდა და მაგი-
ლის წვერებს გასაძახა:
— ძვირფასო მეგობრებო, თქვენ, იქნებ, არ იცით, რომ დღეს ჩვენს ლხინს ეს-
წრება ჩვენი ქალაქის ტელეფონების სადგურის მისაღები ამბერკი კალანდაც. ეს ის
ამბერკია, რომელიც წვიმაში და ქარში, დარში თუ ავდარში, მტვერში და ბუქში რომ
მისდევს ტელეფონების ხაზებს, რათა...
თამადის სიტყვებზე ჩოჩქოლი და ზუზუნი ატყდა.
— აა... ეს თქვენა ხართ, კაბინეტიდან რომ იპარებთ და საუზმიდან სადილო-
ბანდვ აცდევინებთ საწყალ მთხოვნელებს?!.
— აა... ეს ვაჭბატონი ტელეფონებს სააონივით რომ აქაფებს და მაღაზიის დი-
რექტორებს უდგამს...
— შეკითხვა მაქვს, შეკითხვა! — დაიძახა ვიღაც მანდილოსანმა და ქორივით
დამაცხრა თავზე.
— ჩიბურტანიძესთან რომ ვრეკავთ და სიკინჭილაძესთან ვხვდებით, ეს ვიღას
ბრაღია?!
— ჩვენს მეზობლად ხორცის გამყიდველს რომ ტელეფონი დაუდგით და ჩვენ,
ინსტიტუტის თანამშრომლები, უტელეფონოდ ვიტანჯებით, ეს როგორია...
მაგის კაბინეტში ჩვენ არ გვიშვებენ და ხვალ კიდევ აქ არ მოვა, დაე, აქვე ვაგვ-
ცეს პასუხი უბრალო ხალხს, უბრალოდ, ადამიანურად.
— ტოლჩით ღვინო დავალევიოთ და ენას ამოიდგამს, — წამოიძახა ვიღაცამ და
ორლიტრიანი ტოლჩა ცხვირწინ დამიტრიალა.
— ვერ დავლევ, არ შემიძლია.
— თუ არ დალიოს, თავზე დაასხით... — წამოიძახა ვიღაც ახალგაზრდამ და ჩემს-
კენ გამოეშარა.
— არ დამასხათ. — ამოვიბლაველე საცოდავად.
„დაასხით“, „არ დაასხათ“ — აირია ერთმანეთში და მე ვიდექი ამოდენა ხალ-
ხის წინ ტელეფონის აპარატივით გაშვებულში.
— მეყოფა, ბატონო, შხამად ნუ ამომადინებთ ეს ორი ლუკმა, ორი დღეა მომხს-
ნეს, აღარ ვმუშაობ სატელეფონო სადგურში.
— რაო, მოგხსნეს?! ფუ, კაცი მეგონე და ფიტული გამხდარხარ, — ჩაილაპარაკა
უქმაყოფილოდ თამადამ და სასმისი შეავსო.
მომხსნეს, ახია... აღრე უნდა მოეხსნათ. გამოავლეს, აბა, ახლა ჩაიკეტოს კაბინეტ-
ში. — ისმოდა აქეთ-იქიდან და მე ვიჯექი დამუღრული და დაბეჩავებული.


3. პახელიშვილი

მეყო, თავი დამანებეთ

არც დიდი კაცი ვარ და არც სტადიონის
დირექტორი.
ერთი უბრალო ადამიანი გახლავართ და
ერთი არა უშავს რა თანამდებობა მიჭი-
რავს.
დიდაკობის თვისებები არც არავის აღ-
მოუჩენია ჩემში და არც არასოდეს არ მიც-
დია განმევითარებინა მისი ნასახები, თუ
ვინიცობაა რაიმე მსგავსი რამ მიღიმამებ-
და. ერთი სიტყვით, ერთი უბრალო ადამი-
ანი ვარ. და მართლმე კი არა, მგონი, ყვე-
ლას ღრმად სჯერა ესა და მეც კმაყოფი-
ლი ვარ ამით.
ჰოდა, იმას მოგახსენებდით, რომ მე არც
დიდი კაცი ვარ, არც სტადიონის დირექტო-
რი, მაგრამ, დროდრო, ზოგზოგებს არა
სურთ ამის დაჯერება და უნდათ მეც გადა-
მარწმუნონ, მაგრამ მე ურწმუნო თომასა-
ვით ვაკანტურებ თავს და ჩემი ღრმა რწმე-
ნისგან ნაბიჯს არ ვიკვლი. დიახ, ხაზგას-
მით ვაცხადებ, საჯაროდ ვაცხადებ, ყვე-
ლას გასაგონად ვაცხადებ, რომ მე ერთი
უბრალო ადამიანი ვარ და ერთი არა უშავს
რა თანამდებობა მიჭირავს, მაგრამ, რაც
მთავარია, სულაც არა ვარ სტადიონის დი-
რექტორი.
მე რომ ვაცხადებდე, დიდი კაცი ვარ და,
გინდათ, თუ არ გინდათ, იწამეთ ჩემი დიდ-
კაცობა-მეთქი, შეგეძლოთ არ დაგეჯერები-
ნათ, წინააღმდეგობა გაგეწიოთ, სასაცი-

ლოდ აგეგდეთ, მაგრამ მე ხომ დიდკაცობა-
ზე არა ვდებ თავს, ჰოდა, ხალხი არა ხართ,
მომეშვით, ვიყო ერთი უბრალო ადამიანი,
ვახარო ჩემი ჭია.
სანამ ფეხბურთის მატჩი მოახლოვდებო-
დეს, არც არავის ვგონივარ დიდი კაცი და
არც არავის ვაგონდები. მაგრამ ფეხბურთის
წინა დღეებიდან მატჩის დაწყების წინა წუ-
თებამდე იმსიდიდე კაცი ვხდები, რომ ტე-
ლეფონებს ჩემთან გამუდმებული რეკვისა-
გან ხვითქი გადასდით და ხალხს ხმა ეს-
ლიჩება, მე უკვე მოსე აღარა ვარ, მე ვარ
ბატონი მოსე, პატივცემული მოსე, ერთი
სიტყვით, იმსიდიდე მოსე, რომ, ფეხ-
ბურთის ბილეთი კი არა, რა უნდა იყოს
ქვეყანაზე, რომ მე არ ვიშოვო.
— ერთი პატარა სათხოვარი მაქვს, —
მეუბნება ყველა და ყველა (ზოგიერთი გა-
მონაკლისის გარდა) თითო ბილეთსა
მთხოვს.
არ გადის ჩემი „არა“, „არა მაქვს“,
„ვერ გიშოვი“.
ყველას ბოდიში უნდა ვუხადო, უნდა
ვთხოვო არ ეწყინოს, არ გამიბრაზდეს, არ
გამიჯავრდეს.
მეყო, რას მერჩით, თავი დამანებეთ, მე
არც დიდი კაცი ვარ და არც სტადიონის
დირექტორი!

8. ქარჩავა



საქალაქო სპორტს

ადამიანს ხიბლავს გავრის რაი-
ონის სოფელ კოლხიდის წარმტაცი
ბუნება. აქ ერთმანეთის პირისპირ
დგანან მოლივლივე ზღვა და მწვა-
ნე ტანსაცმელში გამოწყობილი
მთები.

სოფელი კოლხიდა არა მარტო
ბუნების სილამაზით, არამედ აქაურ
კოლმეურნეთა გმირული შრომით
არის ცნობილი. სწორედ კოლმეურ-
ნეობამ ააშენა აქ ქართული საშუ-
ალო სკოლის ორსართულიანი შე-
ნობა, რომელშიც ოთხასზე მეტი
მოსწავლე სწავლობს.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ
არის ზოგიერთი რამ, რაც საჭირო-
ებს დროულად მოგვარებას. კერ-
ძოდ, როგორც ყოველ ცოცხალ არ-
სებას, მოსწავლეებსაც წყალი უნ-
დათ და წყალი კი სკოლას არა
აქვს. მოსწავლეებს წყურვილის
მოკვლა პატარა მდინარის კოლხი-

დის წყლით უხდებათ. მართალია,
მდინარე შორს არ არის სკოლიდან,
მაგრამ მასში ზოგიერთი მცხოვრე-
ბი ათასგვარ უსუფთაობას ჰყრის
და წყალს უფარგის ხდის. დაუშ-
ვებელია, რომ ასეთ მშვენიერ სკო-
ლას სასმელი წყალი არ ჰქონდეს,
ელექტროგანათებაზე რომ არაფე-
რი ვთქვათ, რომელმაც სულ რამდე-
ნიმე დღეს გაგვახარა და შემდეგ
სამუდამოდ დახუჭა თვალი.

მშობელთა კომიტეტის
წევრი გიორგი ბერძენიშვილი.

ნიანგის შენიშვნა: ახლა-
ხან ნიანგმა საკუთარი თვალთ
ინახულა კოლხიდის საშუალო სკო-
ლა და შეამოწმა წერილში აღნიშ-
ნული ფაქტები. ნიანგმა სკოლაში
ვერსად ვერ აღმოაჩინა დასაღვე-
წყლის ბაქები. ზოგიერთების გან-
მარტებით, ისინი სარემონტოდ
არის წაღებული.




— ყველამ ხელით აიღო მარილი, შენ რატომ
აიღე დანით?
— თითი მაქვს გაჭრილი.

აზროთუ არა თქვით...

რომ ლენტეხის ავტოსატრანსპორტო კანტორის მანქანებიდან
დილით არც ერთს არ სურს თავისით აშუშავება. ამიტომ კანტორის
სამუშაო დღე, როგორც წესი, ეგრეთწოდებული ბუქსირით იწყება.
მაგრამ რომელი მანქანა შეასრულებს ბუქსირის მოვალეობას? აი
საკითხი, რომელიც, მისი სიძნელის მიუხედავად, მეტად ორიგინა-
ლურად იქნა გადაწყვეტილი კანტორის ხელმძღვანელობის მიერ.
დილით ნებისმიერი მანქანის ძრავას შეუნთებენ დიდ ცეცხლს და
გაწითლებამდე ასურებენ, რის შემდეგაც უკვე შეიძლება ამ მანქა-
ნის როგორმე ამუშავება. შემდეგ კი ეს მანქანა უკვე ბუქსირის სა-
ხით იქნება გამოყენებული. აქ უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საინ-
ტერესო გარემოება. მანქანა, რომელსაც ცეცხლს შეუნთებენ, ყოველ-
თვის წითლდება, მაგრამ არასოდეს არ წითლდებიან კანტორის
ხელმძღვანელები, რომლებიც ყოველდღე აივნიდან უყურებენ ამ
სურათს. ბუქსირი დილით იწყება და 12 საათამდე გრძელდება.
ზოგჯერ, დროის მოგების მიზნით, რამდენიმე ავტომანქანა ერთ-
დროულად ბუქსირდება, რაც მეტად ლამაზ საანახობას წარ-
მოადგენს. მაგრამ ზოგიერთები, ვისაც ამ სილამაზის დანახვის
უნარი არა აქვთ, ამტკიცებენ, თითქოს ეს სიასლე იწვევდეს მანქა-
ნების უდროოდ წყობიდან გამოსვლას, დროის დაკარგვას, თითქოს
არ იყოს დაცული უსაფრთხოების ტექნიკა და დარღვეული იყოს
ტექნიკური ექსპლოატაციის წესები. აქ ხანძარსაწინააღმდეგო წე-
სების დაცვაზედაც ლაპარაკობენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლენ-
ტეხის ავტოსატრანსპორტო კანტორის მუშაობის სტილი მაინც ერ-
თადერთი და ორიგინალური რჩება.

...რომ დიღმის მასივის მცხოვრებლებმა ჩამოაყალიბეს ტალახში
და გუბებში ცურვის შემსწავლელი წრეები. წრეების ხელმძღვანე-
ლებად მოწვეულნი არიან თბილისის მუდამ ტალახიანი ქუჩე-
ბის მცხოვრებლები, რომელთაც ამ საქმის უდიდესი და უძ-
ველესი გამოცდილება გააჩნიათ. ახლო მომავალში განზრახულია
სიბნელებში მოსიარულეთა წრის გახსნა.

...რომ მოქ. ჩალაურის მიერ „საქტალკის“ წნელების საფოსტო
განყოფილებიდან თბილისში გაგზავნილმა დეპუტატმა: „თბილისი, I
საფოსტო განყოფილება, სართიანის ქუჩა, № 10. ნაზი ბალხამიშ-
ვილს. გილოცავთ თქვენს დღესასწაულს რვა მარტს, განსაკუთრებით
ნაზის და ქუჩუნას. გოგია“, თბილისამდე შემდეგი ცვლილება გა-
ნიცადა: „თბილისი, I საფოსტო განყოფილება, სართიანის ქუჩა
№ 10, ნაზი ბალხამიშვილს. გილოცავთ დღეს ასულს მარტო გო-
გია“. როგორც ჩანს, ფოსტის მუშაკებს სურდათ გრძელი სიტყვა
რაც შეიძლება მოკლედ გამოეთქვათ, რაც მათ მართლაც და შესა-
ნიშნავად მოახერხეს.



ლესელიძის ქუჩაზე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძველისძველი
ხუხულები რომ აიღეს და მათი არსებობა ისტორიულ წარსულს ჩააბარეს,
ეს ჩალაუზნის ქ. № 4-სა და მ-ის მცხოვრებლებს დიანაც რომ უდიდეს სი-
ხარულსა გვგვრის და იმედებით გვავესებს, მაგრამ მარტო იმედებით, რო-
გორც ცარიელი კუჭი არ გაძლება, ისე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი
სახლების მცხოვრებლების გულიც არ ჩადგება საგულეში.

წყალი რომ ჩამოგვდის, ჩამოგვდის, წვიმიან ამინდში დღედაღამე მო-
რიგობა გვაქვს ოჯახებში შემოღებული, დავდივართ ტაშტებით, ვედროე-
ბით, გობებითა და სხვადასხვა ჭამჭურჭლებით ხელში და ვაგროვებთ სა-
ხურავიდან ჩამომდინარე წვიმის წყალს. ამბობენ, წვიმის წყალი თავის
დასაბანად კარგიაო, მაგრამ ამ ვაიდავიდარაბის შედეგად იმდენ წყალს ვაგ-
როვებთ, რომ ნახევარ თბილისს დაჰბანდა თავს და აბა, ერთი ეს გვით-
ხარით, რად გვინდა ეს სიზიფის შრომა.

კედლები თანდათან სკდება და ჩვენც გული უფრო და უფრო გვისკდე-
ბა, ვაითუ კედლები ჩამოწვეს და შიგ დაგვიტანოს. დღედაღამე იმას ვევიდ-
რებით ყოვლისშემძლე ბუნების ძალებს, არ შეიერყეს, არ იძრას მიწა, თო-
რემ ერთი ბიძგი და ჩვენ, ალბათ, ვიყავით და არა ვიქნებით რა.


გვიხველეთ, ხალხნო, ხალხი აღარა ხართ!

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
ბრედატორი ნ. შველიძე. ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჰელიძე.

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 6/V-1963 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა
რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტ“, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 939, უფ. 03216 ტირაჟი 40.000

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები ინიღბებიან დემაგოგიური განცხადებებით ნატოს ეგრეთ წოდებული „მრავალეროვნული ძალების“ შექმნის შესახებ, ნამდვილად კი ცდილობენ ხელთ მისცენ დასაუღეთგერმანულ რეჟიმს ატომური იარაღი.



გამზვირვალე ნიღაბი.

